საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-12 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოგიდგენთ **ნანა ბღარაშვილისა** და **ირაკლი იადონიძის** კანდიდატურებს.

მიხეილ სააკაშვილი

N1/162
10.06.2013

№07-1/62
12.06.2013
4

ცნობა

ირაკლი იადონიძე დაიბადა 1980 წლის 21 აპრილს.

1997 - 2000 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

2005 წელს დაამთავრა თბილისის პოლიტიკური აკადემიის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალიზაციით (კვალიფიკაცია - იურისტი).

2001 - 2004 წლებში მუშაობდა გლდანი - ნაძალადევის რაიონული სასამართლოს ექსპედიტორად;

2004 წლის 22 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე იყო გლდანი - ნაძალადევის რაიონული სასამართლოს კანცელარიის გამგის მოვალეობის შემსრულებელი.

2004 - 2005 წლებში მუშაობდა გლდანი - ნაძალადევის რაიონული სასამართლოს კანცელარიის სისხლის სამართლის, ადმინისტრაციულ საქმეთა და სამეწარმეო რეესტრში საწარმოთა რეგისტრაციის სპეციალისტად.

2005 წლის 5 მაისიდან 3 ივნისამდე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანცელარიის განყოფილების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი.

2005 წლის 3 ივნისიდან 2006 წლის 14 თებერვლამდე მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის კანცელარიის განყოფილების წამყვან სპეციალისტად.

2006 წლის 14 თებერვლიდან 24 აგვისტომდე იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიუროს კანცელარიის განყოფილების უფროსი.

2007 - 2010 წლებში მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი (სახაზინო) სამსახურის ადვოკატად;

2010 წლის აპრილიდან მაისამდე იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის სასწავლო ცენტრის ტრენერი.

2010 - 2012 წლებში მუშაობდა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს უფროსად.

2013 წლის 1 მარტიდან დღემდე არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ლექტორი (საარჩევნო სამართლის დარგში).

2004 - 2012 წლებში გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგი და მიღებული აქვს სერტიფიკატები.

2012 წელს მიღებული აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

დავით უმეკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის
საქმისწარმოებისა და საკადრო საკითხთა
სამსახურის უფროსი